საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-345

22/04/2019

ქ. თბილისი

თბილისის, რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, მდინარე მტკვარზე 103,49 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (კასკადი 4) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, თბილისის, რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, შპს „ვმ ელექტრიკის“, მდინარე მტკვარზე 103,49 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (კასკადი 4) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N32 (26.03.2019წ.);
2. შპს „ვმ ელექტრიკიმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N32 (26.03.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ვმ ელექტრიკს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ვმ ელექტრიკის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თბილისის, რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი